

ტოპოგრაფი 050552

პროფესიული სტანდარტი

I სფეროს აღწერა

ტოპოგრაფის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებას და უზრუნველყოფს საკადასტრო ობიექტებზე აგეგმვის შესრულებას, ტოპოგრაფიული გეგმის, დემოგრაფიული რუკის, სხვადასხვა აზომვითი ნახაზების ორიგინალის შექმნასა და ადგილზე ორიენტირებას.

II. დასაქმების სფერო

ტოპოგრაფი შეიძლება დასაქმდეს სამშენებლო კომპანიებში, საჯარო რეესტრში, თავდაცვის სამინისტროში და სხვა ძალოვან სტრუქტურებში ან სახელმწიფო ორგანიზაციებში, ასევე კერძო კომპანიებში ტოპოგეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების შესასარულებლად.

III. დამატებითი მოთხოვნები

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;

მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;

მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;

მინიმალური ასაკი 18 წელი.

4. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ტოპოგრაფის განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ტოპოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ტოპოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ტოპოგრაფის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ტოპოგრაფის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**V. ტოპოგრაფის პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა აღმწერი
ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცნობს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ უნარჩვევებს და უსაფრთხოების ნორმებს; იცის ტოპოგოდეზიური სამუშაოების შესრულების ძირითადი ხერხები: მარტივი საყრდენი გეოდეზიური ქსელის შექმნა, ტექნიკური და IV კლასის ნიველოზა, მენზულური და ტაქეომეტრული აგეგმვები, საკადასტრო აზომვები. იცის სტერეოფოტოგრამეტიული გეგმვების არსი, ორთოფოტო; ფლობს ტოპოგოდეზიური სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა. შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს დაგეგმილი სამუშაოები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები, სწორად განსაზღვროს ჩასატარებელი სამუშაოების დაგეგმვა ადგილმდებარეობისა და რელიეფის შესაბამისად, შეუძლია ტოპოგრაფიული ხაზვის ელემენტების შესრულება, ტოპოგრაფიულ რუკაზე დასახული ამოცანების თანმიმდევრული გადაწყვეტა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია: ექსტრემალურ ვითარებაში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი; ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა; მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების გატარება ხელმძღვანელთან შეთანხმებით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ საქმიანობასთან და-კავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე. აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი; შეუძლია უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; ეფექტურად იყენებს ტოპოგოდეზიურ სამუშაოებთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია: წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარი პროფესიული დონის ამაღლებაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული ღირებულებების შესაბამისად. ითვალისწინებს უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის პირობებს.</p>

ტოპოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს აღნიშნული სფეროში ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს,</p>	<p>აქვს ზოგადი ცოდნა მათემატიკაში, გეოგრაფიაში, ინფორმატიკაში, მენეჯმენტსა და მეწარმეობაში; ფლობს პრაქტიკულ უნარებს და იცის ტოპოგრაფიული სამუშაოების თანამიმდევრულად და ხარისხიანად ჩატარება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ეფექტიანად დაგეგმვა და სამუშაო ჯგუფის სწორად შერჩევა, ტოპოგრაფიული და გეოდეზიური ხელსაწყოების მიზნობრივად გამოყენება, გაზომვითი სამუშაოების წარმოება, ტოპოგრაფიული გეგმებისა და რუკების შედგენა და ჩატარებულ სამუშაოებზე პასუხისმგებლობის აღება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგმის შემუშავება, ალტერნატიული გზების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულებისას დაშვებული შეცდომების გამოვლენა, მათი ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა და შესაძლო ხარვეზების გამოსწორება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარ</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ტოპოგრაფიულ სამუშაოებზე ცვალებად სიტუაციებში. დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ამუშავებს უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. შეუძლია საკუთარი ცოდნის სხვისთვის გაზიარება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარი სწავლის საჭიროებები და განსაზღვროს მომავალი სწავლის მიმართულები.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულე ბეზს, ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება ტოპოგრაფიული საწარმოსათვის დამახასიათებელ ღირებულე ბეზს და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად; იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს.</p>

ტოპოგრაფის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)</p>	<p>იცის შემდეგი ტოპოგრაფიული სამუშაოები: სახელმწიფო და ადგილობრივი დანიშნულების ასაგეგმი საყრდენი გეოდეზიური საფუძველის აგება; ტაქთომეტრიული და ტოპოგრაფიული გეგმების შედგენა; საკადასტრო რუკებისა და ნახაზების შედგენა და ნაგებობათა შიგა აზომვების განხორციელების ტექნიკა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შეძენილი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია: გეოინფორმატიული სისტემების ტოპოგრაფიულ სამუშაოებზე გამოყენება, ასევე შეძენილი პროფესიული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; ტექნოლოგიების საფუძველზე მენეჯმენტის საწყისი ელემენტების გამოყენება ტოპოგეოდეზიურ სამუშაოებზე: ტოპოგრაფიული რუკებისათვის და გეგმებისათვის, ცალკეული ტოპოგრაფიული ამოცანების გადაწყვეტისას დამოუკიდებლად მოქმედება და შესაბამისი განკარგულებების გაცემა მუშა ჯგუფის წევრებისადმი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>დამოუკიდებლად შეუძლია განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა და ტოპოგრაფიული გაზომვების შედეგების საფუძველზე ჩატარებული სამუშაოების ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მონაცემების გადაცემა (ზეპირად და წერილობით) მომიჯნავე სპეციალისტისთვის (მშენებელი, მიწათმომწყობი, გეოლოგი, ჰიდროლოგი, საგზაო მშენებელი, სამხედრო და ა.შ.). შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული ტოპოგრაფიულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლების მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მომავალი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ტოპოგრაფიული სამუშაოების ცვალებად და გაუთვალისწინებელ პირობებში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს</p>	<p>აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას ტოპოგრაფისტის საქმიანობაში. იცავს და უზიარებს სხვებს უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესებს.</p>